



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №58, ტელ.: +995 599 18 24 25
ელ. ფოსტა: info.cageri@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

N 2-207
01/10/2018

207-07-4-201810011353



„მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 21 ივნისის N 2-758 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე და 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1.

„მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 21 ივნისის N 2-758 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. ბრძანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცაგერის მუნიციპალიტეტში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია შეიქმნას შემდეგი შემადგენლობით:

- მიხეილ მეშველიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.
- ზურაბი ხეცურიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- რევაზ ახვლედიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი.
- სოფიო გვიშიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი.

- დავით ჩიქოვანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრი (მოწვევით).
- იამზე ბურჯალიანი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.
- ნუგზარ ტვილდიანი - სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.
- ბონდო კოპალიანი - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.
- ავთანდილ ევაძე - ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საქმის წარმოების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.
- იაგო ბოლქვაძე - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი (მოწვევით).
- ლელა ბახსოლიანი - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე, კომისიის მდივანი.

„2. ბრძანების მე-2 მუხლი ამოღებულ იქნას“.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 09 აგვისტოს N 2-160 ბრძანება.

მუხლი 3.

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ცაგერის რაიონულ სასამართლოში /ქ. ცაგერი, ასათიანის ქ. N 14/.

ავთანდილ უგრეხელიძე

მუნიციპალიტეტის მერი

